საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 142

11 09 2015 წელი

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წითელ ხიდთან მდებარე მთავარ-ანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის მღვდელ-მონაზონის ფილიპე (პარმენ) რატიანის განცხადების განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 სექტემბრის სხდომის N15 ოქმის მე-2 საკითხის შესაბამისად, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის წითელ ხიდთან მდებარე მთავარ-ანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრის მღვდელ-მონაზონის ფილიპე (პარმენ) რატიანის განცხადების (რეგ.N893/05. 10.09.2015წ) გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, როგორც გამონაკლისი, უზრუნველყოს 1200 ლარის გადარიცხვა ს/ს ენერგო პრო ჯორჯიას ანგარიშზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოში მშენებარე მონასტრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარად, ვინაიდან აღნიშნულ მონასტერში მიმდინარეობს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

2. ზემოაღნიშნულ მონასტერში მშენებლობის დამთავრებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N298 განკარგულებით გათვალისწინებული ლიმიტის ნაცვლად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კესალოს მონასტერს, მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარად დაუწესდეს ყოველთვიურად 300 ლარის ლიმიტი.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI